

საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ადეკვატურობის შეფასების მეთოდოლოგია

თავი 1

მუხლი 1. მოქმედების სფერო

1. წინამდებარე დანართი წარმოადგენს საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ადეკვატურობის შეფასების მეთოდოლოგიას (შემდგომში – მეთოდოლოგია), რომელიც გამოიყენება ეროვნულ დონეზე. მისი მიზანია განისაზღვროს საკმარისია თუ არა მიწოდებისა და გადამცემი ინფრასტრუქტურის მოსალოდნელი (ან დაგეგმილი) ხელმისაწვდომობა საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში, რათა დაკმაყოფილდეს ენერგოსისტემის მოხმარება. გრძელვადიანი ადეკვატურობა მოიცავს მომავალ 10 წელზე ხანგრძლივ პერიოდს. განიხილება გენერაციისა და მოხმარების სხვადასხვა კომბინაცია, რათა მათი ერთობლიობით მიღებული იქნას ენერგოსისტემის განვითარების სხვადასხვა სცენარი. ადეკვატურობის საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ანალიზი დაინტერესებულ მხარეებს აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა სცენარში არსებულ ადეკვატურობის რისკებთან დაკავშირებით.

2. მეთოდოლოგია მოიცავს, სულ მცირე, შემდეგ საკითხებს:

ა) გადამცემი ელემენტის გათიშვის ალბათობა;

ბ) ელექტროსადგურების ავარიული გათიშვის ალბათობა;

გ) მოხმარების ცვალებადობა;

დ) განახლებადი ენერჯის წყაროების გამომუშავების ცვალებადობა;

ე) კლიმატური პირობები (ტემპერატურის, ჰიდროლოგიის, მზის გამოსხივებისა და ქარის სიჩქარის მონაცემები).

3. მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა ადეკვატურობის შეფასების საშუალებით დადგინდეს, ავარიული მდგომარეობის ალბათობა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. წინამდებარე მეთოდოლოგიის მიზნებისთვის გამოიყენება „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ელექტროენერჯის მიწოდების უსაფრთხოების წესების (შემდგომში – წესების) განმარტებები.

2. მეთოდოლოგიის მიზნებისათვის ასევე გამოიყენება შემდეგი განმარტებები:

ა) გეგმიური გათიშვა – წარმოადგენს ელემენტის გათიშვის რეჟიმს, რომელიც დაგეგმილია წინასწარ და აღნიშნულ პერიოდში იგი არ არის ხელმისაწვდომი ენერგეტიკული სისტემისთვის. აღნიშნული გათიშვები მოიცავს რემონტს, დაკონსერვებას და სხვა ნებისმიერ წინასწარ ცნობილ ხელმიუწვდომლობას;

ბ) დაუგეგმავი გათიშვა (ავარიული გათიშვა) – წარმოადგენს ელემენტის დაუგეგმავი გათიშვის რეჟიმს;

გ) ობიექტის ტექნიკური და ეკონომიკური დისპეტჩირება (UCED) – არის მათემატიკური ოპტიმიზაციის ამოცანა, რომელიც ადგენს გენერაციის ობიექტის დატვირთვის გრაფიკს და მათი გენერაციის დონეს, მოდელირების ყველა საფეხურზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. აღნიშნული ამოცანის მიზანია საოპერაციო ხარჯების მინიმიზაცია ენერგეტიკული სისტემის საოპერაციო შემლუღების შესრულებისას;

დ) საშუალოვადიანი ადეკვატურობის შეფასება – ანალიზი, რომელიც განსაზღვრავს რამდენად საკმარისია ელექტროენერგეტიკული სისტემის მიწოდება სისტემის მოხმარების დასაკმაყოფილებლად მომავალი 1-დან 10 წლამდე პერიოდისთვის;

ე) გრძელვადიანი ადეკვატურობის შეფასება – ანალიზი, რომელიც განსაზღვრავს რამდენად საკმარისია ელექტროენერგეტიკული სისტემის მიწოდება სისტემის მოხმარების დასაკმაყოფილებლად 10 წელზე უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის;

ვ) საბაზრო ღონისძიება – მიწოდების ან მოხმარების ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც ხელმისაწვდომია სისტემაში ბაზრის წესებისა და კომერციული ხელშეკრულებების შესაბამისად;

ზ) ელექტროგადამცემი ხაზის სუფთა გამტარუნარიანობა (NTC) – ხელმისაწვდომი სიმძლავრე კომერციული ტრანზაქციებისთვის. NTC-ის მნიშვნელობა გამოითვლება შემდეგნაირად: $TTC - TRM = NTC$.

TTC არის ელექტროგადამცემი ხაზის სრული გამტარუნარიანობა, რომელიც ხელმისაწვდომია ელექტროენერჯის მიმოცვლისთვის, მეზობელ გეოგრაფიული არეალების ქსელებს შორის, შესაბამისი ქსელების უსაფრთხოების რისკის ქვეშ დაყენების გარეშე და ექვემდებარება სისტემის ოპერატორისთვის ბაზრის მონაწილეების ან სხვა სისტემის ოპერატორების მხრიდან შეტყობინებულ მოვლენას ან ახალ ინფორმაციას.

TRM არის გადაცემის საიმედოობის ზღვარი, რომელიც სისტემის ოპერატორს უნდა ჰქონდეს ხელმისაწვდომი ურთიერთდამაკავშირებელი ხაზისთვის, რათა, საჭიროების შემთხვევაში, შეძლოს დაეხმაროს სხვა ქვეყნებს, რომლებთანაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ არის დაკავშირებული.

თ) არასაბაზრო ღონისძიება – ნებისმიერი მიწოდების ან მოხმარების ღონისძიება, რომელიც გადაუხვევს ბაზრის წესებისგან ან კომერციული ხელშეკრულებებისგან;

ი) დატვირთვის შეზღუდვის მოსალოდნელობა (LOLE) – მოცემულ გეოგრაფიულ ზონაში მოცემული პერიოდისთვის საათების სავარაუდო რაოდენობა, რა პერიოდშიც მოსალოდნელია მოხმარების შეზღუდვა;

კ) მიუწოდებელი ენერჯის მოსალოდნელი სიდიდე (EENS) – განისაზღვრება როგორც ენერჯის მოსალოდნელი რაოდენობა, რომელსაც ენერჯოსისტემის მომხმარებლები ვერ მიიღებენ არასაკმარისი გენერაციის ან გადამცემი ქსელის გამტარუნარიანობის სიმცირის გამო;

ლ) ადეკვატურობის ალბათობის ინდიკატორი – ენერჯოსისტემის გენერაციის ხელმისაწვდომობის ალბათობა, რომელიც მოიცავს მოცემული პერიოდისთვის გადაცემი ქსელის საოპერაციო ზღვრების ფარგლებში მოხმარების დაკმაყოფილებას.

თავი II

მუხლი 3 . ადეკვატურობის ანალიზის აღწერა

1. ადეკვატურობის შეფასებების მიზანია დადგინდეს საკმარისია თუ არა ენერჯოსისტემის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მიწოდებისა და გადაცემის შესაძლებლობები სხვადასხვა კლიმატური და საოპერაციო პირობების დროს.

2. ადეკვატურობის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს გასული წლების დატვირთვის მონაცემები.

3. შესაბამისი პერიოდის ადეკვატურობის შესაფასებლად გამოყენებული უნდა იქნეს ალბათური (probabilistic) მეთოდოლოგია. მეთოდოლოგია უნდა ეფუძნებოდეს რომელიმე ალბათურ მიდგომას, რათა ასახულ იქნეს მოხმარების ცვალებადობა, ქარისა და მზის სადგურების გამომუშავების ცვალებადობა და ჰიდროლოგიის ცვალებადობა, აგრეთვე მიწოდებისა და გადაცემის გამორთვების შემთხვევითობა.

4. ადეკვატურობის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს ობიექტის ტექნიკური და ეკონომიკური დისპეტჩირების (UCED) მოდელს, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს გადამცემი სისტემის შეზღუდვებს.

5. ადეკვატურობის ანალიზისას თუ ვლინდება დასაშვებზე მაღალი რისკის მქონე სცენარები, უნდა განხორციელდეს ასეთი სცენარების დამატებით გაანგარიშებები, სადაც გათვალისწინებული იქნება რისკების დასაშვებ ფარგლებამდე შემცირების განსხვავებული მიდგომები სენსიტიურობის ანალიზის სახით.

6. ადეკვატურობის შეფასებები ითვალისწინებს სამ ძირითად კრიტერიუმს: მოხმარება, მიწოდება (მაგ., გენერაცია, შემნახველები) და ქსელი, რომელიც აკავშირებს გენერაციას და მოხმარებას.

7. მიწოდების ხელმისაწვდომობა უნდა ითვალისწინებდეს გეგმიურ გათიშვებს და სხვა ცნობილ გათიშვებს (დაკონსერვება, სხვ.), რომლებიც განხილული უნდა იქნეს ალბათური მიდგომით. ვარაუდები თითოეული ელემენტის გათიშვების მაჩვენებელზე, უნდა ეფუძნებოდეს გათიშვების ისტორიულ მონაცემებს.

8. ადეკვატურობის შეფასებისას უნდა იქნეს გამოყენებული უახლესი ხელმისაწვდომი ინფორმაცია.

მუხლი 4. სცენარის შემუშავება

1. ადეკვატურობის შეფასების მონაცემთა ბაზა დაფუძნებულია დაგეგმვის სცენარებზე, რომელიც უნდა ემყარებოდეს საქართველოს ენერგეტიკული სექტორის განვითარების კვლევებს, როგორცაა გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა (TYNDP), სხვა ეროვნული კვლევები ან ელექტროენერჯის ავარიული მდგომარეობის სცენარები, რომლებიც განსაზღვრულია რისკის შეფასების პროცესში. დაგეგმვის სცენარები უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) გენერაციის სიმძლავრეს, ტექნოლოგიების მიხედვით, მაგალითად: ჰესების სიმძლავრე, რომელიც შედგება წყალსაცავიანი ჰესებისგან და მოდინებაზე მომუშავე ჰესებისგან, ასევე ქვანახშირის, მურა ნახშირის, გაზის, ბირთვული, ნავთობისა და ბიოსაწვავისაგან.

ბ) თბოსადგურების გაშვების მაქსიმალურ შესაძლო რაოდენობას, აგრეგატების რაოდენობას და ა.შ.

გ) ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრეებს, წყლის შემოდინების მახასიათებლებს და ა.შ.

დ) ცვალებადი განახლებადი ენერჯის წყაროებზე მომუშავე სადგურების სიმძლავრეებს და ქარისა და მზის ცვალებადობა გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით;

ე) რეზერვებს და მეზობელ ქვეყნებთან გადადინებებს;

ვ) ინფორმაცია აგრეგატების ექსპლუატაციის შეწყვეტის შესახებ.

2. ელექტროენერჯის ბაზრების მოდელირებისთვის უნდა იქნეს გათვალისწინებული ელექტროენერგეტიკული სისტემის ელემენტების შესახებ სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია:

ა) თბოსადგურების შესახებ, მაგ., თბოსადგურების გაშვების მაქსიმალური შესაძლო რაოდენობა, აგრეგატების რაოდენობა;

ბ) ინფორმაცია ჰიდროელექტროსადგურების შესახებ (მაგ. წყალსაცავიანი სადგურების სიმძლავრე);

გ) ინფორმაცია განახლებადი ენერჯის წყაროებზე მომუშავე სადგურების მიერ გენერირებული სიმძლავრის შესახებ;

დ) გენერაციის ობიექტების ექსპლუატაციის შეჩერება პოლიტიკური გადაწყვეტილების გამო (მაგ. ქვანახშირის ხმარებიდან ამოღების დაჩქარებული პროცესი);

ე) მომხმარებელთა ახალი ჯგუფები (მაგ., კრიპტო ვალუტის წარმოება).

მუხლი 5. მოხმარების შეფასება

1. მოხმარების შეფასება უნდა განხორციელდეს გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ, სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებითა და შესაბამის ორგანიზაციებთან კონსულტაციით,

რომლებიც ჩართულნი არიან მონაცემების შეგროვება/მინოდებაში (გამანაწილებელი სისტემის ოპერატორები, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სხვ.).

2. მოხმარების პროგნოზირება უნდა განხორციელდეს რამდენიმე დაკავშირებულ ცვლადზე დაყრდნობით. მოხმარების პროგნოზირებისთვის ძირითად ცვლადებს წარმოადგენს, მთლიანი შიდა პროდუქტი, ტურიზმი, მოსახლეობა და ელექტრომობილუბი. ასევე შესაძლებელია დროთა განმავლობაში დაემატოს სხვა ცვლადებიც, რომლებიც იქნებიან მოხმარებასთან კორელაციაში.

3. ელექტრომობილუბების გარდა, თითოეული ცვლადის მოხმარებაზე დამოკიდებულება უნდა განისაზღვროს რეგრესიის მეთოდის დახმარებით, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს მინიმუმ ბოლო 10 წლის სტატისტიკურ მონაცემებს.

4. ელექტრომობილუბების მიერ გამოწვეული მოხმარება ფასდება ტენდენციებზე დაყრდნობით, მათი სამომავლო რაოდენობებით, საშუალო მოხმარებითა და წლის განმავლობაში გავლილი საშუალო კილომეტრაჟით.

5. ელექტროენერჯის მოხმარების პროფილი სასურველია ითვალისწინებდეს ტემპერატურის გავლენას მოხმარებაზე („თერმომგრძობელობა“). ტემპერატურა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომერციულ და საყოფაცხოვრებო დატვირთვაზე, რაც გამოწვეულია გავრილებისა და გათბობის ელექტრომონოცილობების გამოყენებით.

6. ელექტროენერჯის მოხმარების პროფილი უნდა შედგებოდეს დატვირთვის საათობრივი მნიშვნელობებისგან.

7. მოხმარების პროგნოზირება სასურველია ხორციელდებოდეს განსხვავებულ სცენარებში, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს დამოკიდებული ცვლადების განვითარების სხვადასხვა სცენარიდან.

8. შეფასებული უნდა იქნეს არაპირდაპირ მოდელირებულ სისტემებში დაგეგმილი ექსპორტი რამდენად ახდენს გავლენას გადამცემი სისტემის ოპერატორის გეოგრაფიულ არეალზე.

9. მოთხოვნა სისტემის რეზერვებზე უნდა განისაზღვროს საქართველოში სისტემის ოპერირების გამოცდილებისა და თავისებურებების გათვალისწინებით.

მუხლი 6. მინოდების შეფასება

1. მინოდების შეფასება უნდა განხორციელდეს გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ, სხვა შესაბამის ორგანიზაციებთან კონსულტაციით (გენერაციის ობიექტი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და ა.შ).

2. შეფასებულ სისტემაში მინოდება უნდა ითვალისწინებდეს ყველა ხელმისაწვდომ გენერაციის ობიექტსა და ენერჯის შემნახველ მონოცილობას.

3. გენერაცია უნდა დაიყოს დისპეტჩირებად და არადისპეტჩირებად ობიექტებად. დისპეტჩირებადი ობიექტების გენერაციის ვალდებულების გრაფიკი უნდა განისაზღვროს ობიექტის ტექნიკური და ეკონომიკური დისპეტჩირების (UCED) მოდელის მიხედვით და არადისპეტჩირებადი ობიექტებისთვის უნდა იქნეს მოდელირებული გამომუშავების პროფილების UCED-ის მოდელის სანცისი ინფორმაციის ფორმირების საშუალებით.

4. დისპეტჩირებადი გენერაციის ობიექტები მოიცავს თბოსადგურებსა და წყალსაცავიან ჰიდროელექტროსადგურებს.

5. მხედველობაში მიიღება ჰიდროელექტროსადგურების შემდეგი სამი ტიპი:

ა) ჰიდრომააკუმულირებელი სადგური;

ბ) მოდინებაზე მომუშავე სადგური;

გ) წყალსაცავიანი სადგური.

6. არადისპეტჩირებადი ობიექტები მოიცავს გამომუშავებას, რომელიც პირდაპირ არ არის კონტროლირებადი, ესენია: მზისა და ქარის სადგურების გამომუშავება, ან აუცილებელი გენერაცია, როგორცაა: კომბინირებული ციკლის თბოსადგური ან მოდინებაზე მომუშავე ელექტროსადგურები.
7. ენერჯის დამაგროვებელი მოწყობილობა უნდა იქნას წარმოდგენილი სულ მცირე შემდეგი მონაცემებით: წმინდა დამუხტვისა და განმუხტვის სიმძლავრე, ენერჯის დამაგროვებლის ნომინალური სიმძლავრე და ციკლის მარგი ქმედების კოეფიციენტი.
8. ნებისმიერი რესურსი, რომელიც არ არის ხელმისაწვდომი გადამცემი სისტემის ოპერატორის გეოგრაფიულ არეალში უნდა იქნას უგულვებელყოფილი.
9. მოდელში უნდა იქნეს გათვალისწინებული საბალანსო და დამხმარე მომსახურებები.
10. გათვალისწინებული უნდა იქნას ნებისმიერი გეგმიური გამორთვა, რომელიც გავლენას ახდენს მიწოდების ხელმისაწვდომობაზე.
11. ავარიული გამორთვები უნდა იქნას განხილული, როგორც ობიექტის ტექნიკური და ეკონომიკური დისპეტჩირების (UCED) მოდელის შემთხვევითი ნიმუში, ავარიული გამორთვების ალბათობა და მათი ხანგრძლივობა გათვალისწინებულია, როგორც UCED-ის მოდელის სანცისი ინფორმაცია. ალბათობა უნდა განისაზღვროს შეფასებულ ენერჯეტიკულ სისტემაში ისტორიული გამორთვების საფუძველზე.
12. უნდა იქნეს გათვალისწინებული ქარის, მზისა და მოდინებაზე მომუშავე სადგურების გენერაციის ცვალებადობა.
13. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ნებისმიერი სეზონის გავლენა მიწოდების შესაძლებლობაზე (მაგ., კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის ხელმისაწვდომობა სხვადასხვა სეზონზე).
14. გათვალისწინებული უნდა იქნეს ნებისმიერი ენერჯეტიკული შეზღუდვა. აღნიშნული განსაკუთრებით დაკავშირებულია ჰიდროგენერაციის მოდელირებასთან. ენერჯეტიკული შეზღუდვები მოიცავს, მაგრამ არ ზღუდავს, ენერჯის შემოდინებას, წყალსაცავის მოცულობას და ენერჯის გამომუშავების მინიმალურ მოთხოვნებს.

მუხლი 7. ქსელის ანალიზი

1. საქართველოს ელექტროენერჯეტიკული სისტემა წარმოდგენილი უნდა იქნეს სულ მცირე ორი ზონით - GE_W და GE_E, იმ პერიოდამდე, სანამ ამ ორ ზონას შორის არ აღმოიფხვრება გადაცემის შეზღუდვები.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული ზონების ურთიერთდამაკავშირებელი ხაზები წარმოდგენილი უნდა იქნეს ელექტროგადამცემი ხაზის სუფთა გამტარუნარიანობით (NTC).
3. ადეკვატურობის შესწავლის მიზნებიდან გამომდინარე შეიძლება გადამცემი ქსელი მოდელირებული იქნეს უფრო დეტალურად, კერძოდ, 220 კვ და უფრო მაღალი ძაბვის ელემენტების გათვალისწინებით.
4. სეზონური, ტემპერატურული და სხვა კლიმატური პირობებით გამოწვეული შეზღუდვები უნდა იქნას გათვალისწინებული, რომლებიც გავლენას ახდენენ გადამცემი ქსელის საოპერაციო ზღვრებზე.
5. ქსელის ელემენტების დაუგეგმავი გამორთვები უნდა იქნეს გათვალისწინებული, როგორც მოდელის შემთხვევითი ნიმუში, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნული მოვლენების ალბათობას.

თავი III

მუხლი 8. ადეკვატურობის შეფასება – საიმედოობის მაჩვენებლები

1. ადეკვატურობის შეფასების მიზანია განისაზღვროს საკმარისია თუ არა მიწოდებისა და გადამცემი ინფრასტრუქტურის მოსალოდნელი (ან დაგეგმილი) ხელმისაწვდომობა, რათა დაკმაყოფილდეს

ენერგოსისტემის მოხმარება. ე.წ. ადეკვატურობის მაჩვენებლები გამოიყენება, როგორც საზომი, რომლებიც, ადეკვატურობის შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, უნდა განისაზღვროს გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ, როგორც დეტერმინისტული (სიმძლავრის ზღვრები) ან ალბათური მაჩვენებლები.

2. სიმულაციის შედეგები გამოისახება შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

ა) **მიუწოდებელი ენერჯის მოსალოდნელი სიდიდე (EENS):** წლის განმავლობაში მომხმარებლისთვის მიუწოდებელი ენერჯის ჯამური საპროგნოზო მნიშვნელობა [მგვტს/წელი და გვტ/ წელი]. საიმედოობის შესწავლისას, მისაღებია, რომ მიუწოდებელი ენერჯის სიდიდე (EENS) შემონმდეს ალბათური ანალიზის მეშვეობით;

ბ) **დატვირთვის შეზღუდვის მოსალოდნელობა:** დატვირთვის შეზღუდვის მოსალოდნელობის (LOLE) (სთ/წელი) მაჩვენებელი წარმოადგენს საათების ჯამურ რაოდენობას წელიწადში, რა დროსაც ვერ ხერხდება მოხმარების სრულად დაკმაყოფილება.

3. მიუწოდებელი ენერჯის მოსალოდნელი სიდიდისა (EENS) და დატვირთვის შეზღუდვის მოსალოდნელობის (LOLE) ინდიკატორები გამოიყენება რისკების შეფასებისთვის, რათა ნაჩვენები იქნეს როგორც დეფიციტის სიხშირე, ასევე სიმძიმე.

მუხლი 9. ადეკვატურობის შეფასების პროცესი

1. ადეკვატურობის შეფასების პროცესი მოიცავს შემდეგ მნიშვნელოვან ნაბიჯებს:

ა) მონაცემების მომზადება;

ბ) ალბათური მოდელირება;

გ) შედეგების ანალიზი;

დ) ანგარიშის შედგენა;

ე) შედეგების გავრცელება.

2. მონაცემების მომზადება:

ა) მონაცემების მომზადება წარმოადგენს შეგროვების, შეფასების, პროგნოზირების ან ნებისმიერ სხვა პროცესს, რომელიც დაკავშირებულია ადეკვატურობის შეფასებისთვის მონაცემთა მომზადებასთან;

ბ) მონაცემთა მომზადება ხორციელდება გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ. ის დაფუძნებული უნდა იყოს საერთო პლატფორმებზე არსებულ მონაცემებზე;

გ) ადეკვატურობის შეფასებისთვის შეგროვებული ყველა მონაცემი უნდა შემონმდეს, რათა დაზუსტდეს მათი სრულყოფილება, თანამიმდევრულობა, სისწორე და სიზუსტე;

დ) მონაცემების მომზადებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული უახლესი ხელმისაწვდომი ინფორმაცია;

ე) ისტორიული მონაცემთა ბაზა საჭიროა სტოქასტური პარამეტრების შესაქმნელად. აღიშნული შეიძლება მოიცავდეს ამინდის თანმიმდევრულ მონაცემთა ბაზას (ტემპერატურა, ქარის სიჩქარე, მზის გამოსხივება და ნალექი). ელექტროენერჯის მოხმარების მონაცემები უნდა დადგინდეს არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით (მაგ., ბოლო 10 წელი ან მეტი). მონაცემები უნდა იქნას გაანალიზებული და განისაზღვროს კორელაციები;

ვ) ყველა მონაცემი უნდა იყოს ცენტრალიზებული ბაზრის მოდელირების მონაცემთა ბაზაში (MMDB), რათა დაზუსტდეს კვლევებში გამოყენებული მონაცემების ხარისხი და თანმიმდევრულობა. მონაცემთა წყაროს და გამოყენებული მეთოდოლოგიის დოკუმენტაციის გამჭვირვალობისა და მისი სამომავლო

გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით, მონაცემები უნდა იყოს აღწერილი ბაზრის მოდელირების მონაცემთა ბაზის (MMDB) სახელმძღვანელოში.

3. ალბათური მოდელირება:

ა) უნდა ჩატარდეს გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ, მე-3 მუხლში განსაზღვრული მეთოდოლოგიისა და კონკრეტული შეფასებისათვის შეგროვებული მონაცემების საფუძველზე;

ბ) შეიძლება განხორციელდეს ENTSO-E-ს მიერ შემოთავაზებული ელექტროენერგეტიკული სისტემის მოდელირების პროგრამების გამოყენებით: PLEXOS, ANTARES, BID3, GRARE და PowrSym, ასევე სხვა მსგავსი მოდელირების საშუალებით.

4. შედეგების ანალიზი:

ა) არის ადეკვატურობის რაოდენობრივი შედეგების შესწავლის პროცესი და დამყარებულია ალბათურ ინდიკატორებზე. აღნიშნული უნდა მოიცავდეს ადეკვატურობის ერთდროული რაოდენობრივი რისკების შესწავლას და შეიძლება შეივსოს ადეკვატურობის რისკების ანალიზის დამატებითი საკონტროლო ნიმუშებით;

ბ) ახორციელებს გადამცემი სისტემის ოპერატორი.

5. ანგარიშის შედეგა:

ა) არის დოკუმენტის ჩამოყალიბების პროცესი, რომლის მიზანია წარმოადგინოს ადეკვატურობის შეფასების შედეგები;

ბ) ანგარიში უნდა იყოს ამომწურავი, ინფორმაციული და გასაგები;

გ) ადეკვატურობის შეფასების შედეგების შესახებ ანგარიში შედგენილი უნდა იყოს გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ და წარედგინოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (წესების მე-7 მუხლის შესაბამისად).

6. შედეგების გავრცელება:

ა) წარმოადგენს ადეკვატურობის შეფასების შედეგების შესახებ ყველა შესაბამისი ორგანოს ინფორმირების პროცესს;

ბ) შეფასების შედეგები უნდა გავრცელდეს ახალი შეფასების პერიოდის დაწყებამდე;

გ) საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ადეკვატურობის შეფასების შედეგები უნდა გამოქვეყნდეს გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ და წარედგინოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.